

მდინარე რიონზე თევზაობის, როგორც მოხმარებითი ეკოსისტემური  
სერვისის შეფასება იმერეთისა და სამეგრელოს მოსახლეობისთვის

ანა ჭანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე  
ბუნებათსარგებლობაში მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბუნების დაცვის და მეტყვეობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი

თანახელმძღვანელი: ფლეურ სხეელე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად

ანა ჭანიძე

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	IV
მადლობა .....	V
ცხრილების ჩამონათვალი.....	VI
გრაფიკების ჩამონათვალი.....	VII
ილუსტრაციების ჩამონათვალი.....	VII
1.შესავალი და ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
2. კვლევის მიზნები და ამოცანები.....	9
3. კვლევის მეთოდოლოგია.....	10
3.1 საკვლევო ტერიტორია.....	11
3.2 კითხვარი და მონაცემთა მოპოვება.....	12
3.3 კვლევის შედეგები.....	15
4. კვლევის შედეგები და მათი ინტერპრეტაცია.....	15
4.1 ორივე კითხვარის შედეგები და ინტერპრეტაცია.....	15
4.2 თითოეული ქალაქის/სოფლის ძირითადი შედეგების ინტერპრეტაცია.....	24
5. შედეგების შეჯამება.....	30
6. დასკვნები და რეკომენდაციები .....	35
გამოყენებული ლიტერატურა .....	37
დანართები.....	40
დანართი 1 – კითხვარი მეთევზე.....	42
დანართი 2- კითხვარი არამეთევზე.....	50

## აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილია კვლევა, რომელშიც აღწერილია მდინარე რიონის პირას მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მათი დამოკიდებულება მდინარის მოხმარებითი ეკოსისტემური სერვისის მიმართ. რამდენად სარგებლიანია მდინარე რიონი ლოკალური მოსახლეობისთვის თევზის მოპოვების მხრივ. გამოკითხული 112 ადგილობრივი მოსახლის მოსაზრებებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა, მეთევზისა და არამეთევზის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ასევე განსხვავებები ოჯახების საშუალო შემოსავლებს შორის. გამოიკვეთა მეთევზისა და არამეთევზის საშუალო ჯამური თვიური შემოსავლის განსხვავებები. თევზაობის მონეტარული და არამონეტარული სარგებელი მეთევზისთვის და მოსახლეობის თევზის შეძენაში დახარჯული თანხა. აღსანიშნავია, რომ რიონში თევზის რაოდენობა თანდათან იკლებს ბევრი მიზეზის გამო, რაც განაპირობებს მეთევზეების სარგებლის კლებას უშუალოდ რიონის მოხმარებითი ეკოსისტემური სერვისის სახით.

## Abstract

The paper presents a study describing the socio-economic situation of the population living along the Rioni river and their opinion on the provisioning ecosystem service in form of fish. How beneficial is the Rioni River to the local population in terms of fish extraction. Based on the opinions of 112 locals surveyed, the socio-economic status of fisherman and non-fisherman families was revealed. The differences between the average total monthly income of fishermen and non-fishermen were also described. Also the research found out monetary and non-monetary benefits of fishing for the fisherman and the cost incurred by the population for fish. It is noteworthy that the number of fish in the Rioni river is gradually declining for many reasons, which leads to a decrease in the benefits of fishermen directly in the form of provisioning ecosystem service from the river.

## მადლობა

მადლობა ფაუნა და ფლორა ინტერნეიშენალს (FFI) და ჩემს თანახელმძღვანელს ქალბატონ ფლეურ სხეელეს ფინანსური დახმარებისთვის. ჩემს ხელმძღვანელს ბატონ ზურაბ ჯავახიშვილს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის. მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტს გიორგი ეპიტაშვილს გაწეული რჩევებისთვის. ბექა ბერიანიძეს კითხვარის მსვლელობის დროს გაწეული დახმარებისთვის. ფაუნა და ფლორა ინტერნეიშენალის გუნდის წევრებს: თამარ ედიშერაშვილს, მიხეილ ფოცხიშვილს, ჯანელი როგავას და გიზო სესკურიას, თეორიული და პრაქტიკული სამუშაოების დაგეგმვაში/განხორციელებაში მონაწილეობისთვის.